სამშობლო

კვირა
31 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **ქალ-ტებით** 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 276 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 276

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
თრივ ტკბილით ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

ბარბალე ნიკოლოზ გაბაშვილის ასული დიაჩკოვისა, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე დაუვიწყარი ძმა მისი კაპიტანი

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გაბაშვილი.

რომლის პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის ლაზარეთის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, კვირას, 31 იანვარს 1—1

წარმოდგენა № 49

ქალაქი ქუთაისი. „**ქართული დრამა**“ ქალაქის თეატრი.

კვირას, 31 იანვარს 1916 წ. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ისტორიული **კომედია.**

გამარჯვებული

4 მოქმედებათ ,,მეფე ერეკლეს დროიდან‘‘ გადმომკეთებელი:—**ვანო ბარველი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი სუზანა, კავთელი ან., მდივანი მარო, ლოლობერიძე ოლიმპიადა, ბბ. ბარველი ვანო გვარაძე ნიკო. დადიანი შალვა, კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარ., ხონელი შალვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება ,,**ცხოვრების გარეშე**‘‘.

წარმოდგენა № 50

ქალაქი ქუთაისი. ,,**ქართული დრამა**‘‘ ქალაქის თეატრი.

სამშაბათი, 2 თებერვალი 1916 წ.

მარო მდივანის საბენეფისოდ

იუდას მემკვიდრე

5 მოქ. **ავტორი.** საბოლშჩიკოვ—სამარინი, მთარგმნელი:—კონსტან-ანდრონი. მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ბეჟანიშვილი სუზანა, კავთელი ან. მდივანი მარო ლოლობერიძე ოლიმპიადა. ბბ. ბარველი ვანო, გვარაძე ნიკო, კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ადგილების ფასი საბენეფისო დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია ,,ქართ. დრამ. ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება. ,,**ცხოვრების გარეშე**‘‘.

საზოგადოების საყურადღებოთ.

1-ლ თებერვლიდან **მთავრობის განკარგულებით** სათეატრო ბილეთებზე შემოღებულ იქნება ახალი **სამხედრო ბეგარა** შემდეგის წესით:

2 შ—დან 10 შ. ღირებულ ბილეთს გადასახადი ექნება 2 შ., 10 შ—დან მანეთამდე აბაზი, მანეთიდან მანეთ-ნახევრამდე ექვსი შაური, მანეთ-ნახევრიდან ორ მანეთამდე ორი აბაზი, ორი მანეთიდან სამ მანეთამდე სამი აბაზი, სამი მანეთიდან ოთხ მანეთამდე ოთხი აბაზი, ოთხ მანეთიდან ხუთ მანეთამდე ერთი მანეთი, ხუთი მანეთიდან რვა მანეთამდე რვა აბაზი, რვა მანეთიდან ათ მანეთამდე ორი მანეთი და სხვ.

ამის გამო „**ქართული დრამის**“ ამხანაგობა **იძულებულია** მისი წარმოდგენების

ფასსაც მოუმატოს.

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი

სამშაბათს 2, ოთხშაბათს, 3 და ხუთშაბათს 4 თებერვალს ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

ხმა ცხოვრებისა.

რუს. მხატვრ. დრამა 5 ნაწილით. უმთავრეს როლს თამაშობს გამოჩენილი მსახ. ქალი ნ. ვ. პლევიცკისა.

გენერალი ჟოფრი ფრონტზე. სამხედრო ქრონიკა.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

სამშაბათს 2, ოთხშაბათს, 3 და ხუთშაბათს 4 თებერვალს ნაჩვენები იქნება

მარო კრამსკაია

ქურუმი თავისუფალი სიყვარულისა. დრამა ექვს ნაწილად. უმთავრეს როლში იქნება მოსკოვის მხატვრ. თეატრის მსახიობი **ო. ვ. გზოვსკისა.** ქართულ ცეკვას შეასრულებს გამოჩენილი მოცეკვავე ნ. ჩერნობაევისა.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდე შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესაძლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $2/_3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $1/_3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მახედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა“ და ,,ამპირში‘‘ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისთვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელოვის შ-ბის

ქუთაისში

ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ ახლო მომავალში მივიღებთ ცნობილ

აბრეშუმის თესლს

ხ. ხრისტოდულიდისას.

6—1

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვეცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70,** სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დადეშქელიანიძის სახლი. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან

დასავლეთის ასპარეზი.

29 იანვარი. ოფიციალური ცნობა. რიგის რაიონში მიტავას გზა-ტკეცილსა და მდინარე დვინის შუა ხდებოდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. ჩვენმა არტილერიამ ბევრ ადგილებში გაფანტა მტრის მუშები. დიკსმიუდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 ვერსის მოშორებით მოხდა ორი აფეთქება, მოწინააღმდეგეს ბატარეა დიდათ დაზარალდა. ილუკსტის რაიონში ჩვენ მტერზე გავიმარჯვეთ და დავიკავეთ ზეგობი.

ჩვენი პოლკის ერთმა რაზმმა ლიუბჩინის რაიონში მოახდინა მცირე შეტაკება მტრის უმნიშვნელო ძალასთან, და მით ხელი შეუშალა მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობდა მდინარე ნემანზე ხიდის გაკეთებას. აღმოსავლეთ ნაწილში ხდებოდა ჩვენი მზვერავი რაზმების თავდასხმა. ცებროვის რაიონში მტერი თავის მხრივ ცდილობდა დაებრუნებია ჩვენ მიერ წართმეული პოზიციები. ისინი აწარმოებდენ კონტრიერიშებს ძლიერის საარტილერიო ცეცხლის დაშენით, მაგრამ მაღლობი რომელიც ჩვენ დავიკავეთ წინა დღით ისევ ჩვენს ხელში დარჩა.

დანარჩენი დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან.)

გენერალი ფონ—სანდერსი.

კარგა ხანია გენერალ ფონ—სენდერსზე, რომელსაც ჯერ არზურმის დაცვა და ოსმალეთის ჯარების ხელმძღვანელობა მიანდვეს, მერე დარდანელში გადაიყვანეს და იქ გერმანელთა ძალები ჩააბარეს, ახლა, როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან ისევ კავკასიის ფრონტზე მომქმედ ოსმალთა ჯარების მთავარ სარდლათ დანიშნეს.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ ვილჰელმი ავათმყოფობის გამო მთავარ სარდლობას თავს ანებებს და მის ნაცვლათ ლეოპოლდ ბავარიელი დაინიშნება.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ საბოლოვოთ გადაწყვეტილია სუეცის არხზე გილაშქრება შეაჩერონ.

სერბიის სკუპშჩინა (პარლამენტი) ნიცაში შეიკრიბება.

ქრონიკა

რუსეთი.

სახელმწიფო სათათბირო.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ განზრახულია სახელმწიფო სათათბიროშ სხდომების წინ ხალხს მოწოდებით მიმართოს, რომ მხნეთ იქნეს.

საბოლოვოთ გადაწყდა, რომ წელს სასწავლებლებში გამოცდები აღარ იქნება ეგზამენები იქნება მხოლოდ კერძო შკოლებში.

გაზეთ „ბანკი იზირუას" რედაქტორი, დობრულსკი ასტრახანში გადაასახლეს, ხოლო გამომცემელი შულმანი—ოლონეცის გუბერნიაში.

აღძრულია კითხვა, რომ ბაქოდან სამხრეთში გაგზავნილი შაქარს, რომელიც დღემდე ენზელშია, რეკვიზცია უყონ შიშობენ.

მაგნიტის ხელი.

მაგნიტის ხელიანი ადამიანი, ეს გერმანელი საპყარია (ივნალიდი).

საპყართა რაოდენობა ახლანდელ ომში ნაკლებია ისე, როგორც გადამდები სენის გავრცელება; იმაზე ნაკლები, რასაც მოელოდენ.

ყოველთვიურათ ოფიციალური ცნობები იკრიბება გერმანიის ყველა ფრონტებზე ამის შესახებ. პირველი წლის განმავლობაში მაგალითად 1 აგვისტომდე 100 დაჭრილ-დაავადმყოფებულთაგან კაცი უკანვე ბრუნდება ჯარში, კვდება ლაზარეთებში მხოლოდ ასიდან 2 კაცი, ხოლო ისეთები, რომლებსაც ჯარში სამსახური აღარ შეუძლია, ე. ი. დავრდომილი რჩებიან, სულ 9 კაცი. აი ეს უკანასკნელი ჯგუფი თითქმის სულ საპყართა ჯგუფს შეადგენს. ორი წლის განმავლობაში ასეთები ჯერ მარტო გერმანიაში 400 ათასი შეგროვდება. ეს რიცხვი გერმანიის მოზრდილ მამაკაცთა, მეორმოცე ნაწილს შეადგენს. ამიტომაც გერმანიის მთავრობა დღეიდანვე ამ უბედურების სიმწვავის შემამსუბუქებელ საშუალების გამონახვას შეუდგა.

უპირველესად მან მოუმატა პენსია, რომელიც საპყარს სახელმწიფოსაგან ეძლევა. მეორეთ მთავრობამ რეიხსტაგის დადასტურებით საპყართა არა მარტო ექიმობა გადაწყვიტა სახაზინო ხარჯით, არამედ მან ისიც იკისრა, რომ მუქთად მიაწოდოს მათ ადამიანის ხელოვნური ასოები: ყბები, თვალები, ხელის თითები და სხვა კანონი სასტიკათ ავალებს მთავრობას, რომ საპყართ მიაწოდოს მუქთად ისეთი ხელოვნური ასოები, რომლებიც ნამდვილ აპარატს წარმოადგენენ და მართლაც შეუძლიათ ადამიანის შრომის ნიჭი რამდენიმეთ მაინც დაუბრუნონ.

მესამეთ, ვრცელი ორგანიზაცია შექმნეს, რომელიც მოდებულია მთელ სახელმწიფოში, რომლის ფერს ადგილობრივი თვითმართველობა შეადგენს და რომელშიაც ადგილობრივი მუშათა პროფესიონალური კავშირებიც მონაწილეობას იღებენ.

ამ ორგანიზაციების მიზანია საპყართა ყოფა-ცხოვრება მომავალში მოაწყონ ისე, რომ მათ „მუქთახარები" არ ეწოდებოდეთ.

საქმე ისა, როგორც გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ დღეს საექიმო ტეხნიკა იმდენათ განვითარებულია, რომ საპყარ ადამიანს შრომის ნიჭს სულ თუ არა შესამჩნევათ მაინც უბრუნებს. ისეთებსაც კი შეიძლება დაუბრუნდეს შრომის ნიჭი, როგორიც ხელებ და ფეხებ დაჭრილები არიან.

ჯერ ერთი, მსჯელობს მთავრობა, გერმანიას ომის შემდეგ დიდძალი მუშახელი დასჭირდება და ის, რა თქმა უნდა, ნაკლები შრომის ნიჭით აღჭურვილსაც უყურადღებოთ ვერ დატოვებს. მეორე, უსაქმობა და ტყვილა გდება საპყართ სულიერათ გაათახსირებდა, დასცემდა და მათ სიცოცხლეს ყოველგვარ მიმზიდველობას დაუკარგავდა.

მთავრობის აზრით ამ შემთხვევაშიაც, როცა ინვალიდი საკუთარი შრომით თავის რჩენას შესძლებს „პენსია უნდა ეძლეოდეს, როგორც ქირის დამატება სახელმწიფოს წინაშე დამსახურების ჯილდო. ამასთან მუშათა პროფესიონალური კავშირების ჩარევით სამრეწველოების პატრონები პირობას დებენ, რომ ინვალიდები მდგომარეობით არ ისარგებლებენ და მათდამი ექსპლოატაციას არ გაძლიერებენ: ქირას არ დაუკლებენ და სხვა...

ამ ჟამად პრუსიაში ასეთი წესია შემოღებული. უპირველესად დაწესებულია პროფესიონალური „კონსულტანტის" თანამდებობა; „კონსულტანტები" ყოველგვარი არაფერიდან არიან არჩეული და ისინი მიჩენილია ლაზარეთებში, სადაც ექიმებთან ერთად არკვევენ, თუ დაჭრილ ავათმყოფ ჯარის კაცს რამდენათ შერჩენია კიდევ წინანდელი შრომის ნიჭი და თუ აღარ შერჩენია, რამდენათ შეიძლება მისი აღდგენა ხელოვნური აპარატებით. აქ უმთავრესად მხედველობაში იღებენ ლია ფიზიკური შესაძლებლობა. თუ ინვალიდს წინათ სასოფლო მეურნეობასთან რამე კავშირი ჰქონია და ახლაც აქვს სურვილი, რომ მეურნეობა გასწიოს, მთავრობა მას ქალაქ დაბების ახლო, ან სოფლად აძლევს მიწის ნაჭერს, რომელზედაც მას ბაღი ან ბოსტანი შეუძლია გააშენოს. პირველ საწარმოებლათ საჭირო ფულსაც აძლევს.

ერთი სიტყვით როგორც კი გამოარკვევენ ინვალიდის მდგომარეობას და მომავალს, მას მომავალი შრომისთვის ლაზარეთშივე ამზადებენ. მაგალითად მან ასწავლიან მარცხენა ხელით წერას, თუ მარჯვენა მოწყვეტილი აქვს; თუ არც ერთი ხელი არ მოეძევა მაშინ ფეხით წერას არჩევენ. თუ თვალები აღარ აქვს, ბრმებისთვის მსხვილ ამობურცულ ასოებით კითხვას ასწავლიან. ამის შემდეგ ის მიჰყავთ იქვე გაწყობილი სახელოსნოებში, უკეთებენ ხელოვნურ ასოებს და არჩევენ მუშაობას. ასეთ სახელოსნოებში დარჩენა—მუშაობა დროებითია. განსაკუთრებულ სახელოსნოებში სამუდამოთ მათი მომწყვდევა მუშათა კავშირებმაც უარყვეს და მთავრობამაც მხარი დაუჭირა. ასე რომ ინვალიდები შეჩვევის შემდეგ იმუშავებენ ყველგან, სადაც კი მის შრომას დაისაჭიროებენ ასეთი ორგანიზაცია და პრინციპიალური მხარე რომელიც დღეს ომის გამო სოციალურ მნიშვნელობას ღებულობს: თანამედროვე მედიკური მეხანიკის წარმატებამ „მაგნიტის ხელიანი" კაცები შესაძლებლათ გახადა: და სწორეთ ტეხნიკის ასეთმა განვითარებამ შესძლო ზემოთ აწერილი ორგანიზაციის მოწყობა და საპყართა არა საპყრებათ, ადამიანებათ გარდაქმნა და ომის მსხვერპლთა კვლავ აღდგომა. დღევანდელ გერმანული ტეხნიკის საკვირველებათა შორის ამ მხრით ყველას ყურადღებას მიიპყრობს და მომავალში დიდ როლს შეასრულებს პროფ. კლინგენბერგის „მაგნიტის ხელი", რომელიც ბუნებრივ ხელისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. (რ. ვ.)

ქუთაისი, 31 იანვარი.

საერთო მო- „მეგობრის" პუბლიცისტს ბ. ქმედება. იმ—ამს, როგორც სჩანს დაუსრულებია თავისი სახელგანთქმული წერილები—„ჩვენ და სომხები" და ეხლა „საერთო მოქმედების მიუცილებლობას" გვიქადაგებს. ჯერ მას ეს წერილები არ დაუმთავრებია და არსებითად ჩვენ მას არ შევეხებით. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეზე უნდა მივუთითოთ ბ. იმ—ამს და გაზეთ „მეგობარს".

საერთო მოქმედების დაწყება და [illegible] ლი მიმართულების შეთანხმება იმდენად დიდმნიშვნელოვანი და მძიმე საკითხია, რომ მისი განხორციელება [illegible] ხერხდა, მაშინაც [illegible] ბისკენ მოგვიწოდებდა ისეთი გულწრფელი და დამსახურებული მოღვაწე, როგორც განსვენებული არჩილ ჯორჯაძ განსვენებული ჯორჯაძე კი იმდენათ დიდი პუბლიცისტი იყო, რომ მის სიტყვა დიდი ყურადღებით ისმენდენ თვით მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც კი.

დღეს ეს საკითხი აღძრა ბ. იმ—ამმა, ამ პუბლიცისტს კი ქართველი ერის წინაშე ის დამსახურება მიუძღვის, რომ მან სამი ფელეტონი დასწერა ჩვენ და სომხების შესახებ და სამი მაზრა (ბორჩალოს, ახალქალაქის და ზაქათალის ოლქი), აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარი ნაწილი ჩვენ მეზობელ სომხებს შესთავაზა. რისთვის ჩაიდინა მან ეს და რას მოელო და ის სომხებიდან—ეს ჩვენთვის დღემდესაც საიდუმლოებას შეადგენს. ცხადია, რომ ასეთი ეროვნული „მოღვაწის"-ს მოქმედება—ყველა მიმართულება შეერთებ და შეთანხმებული—მოკლებულია ყოველგვარ მორალურ ღირებულებას და ნუ არ იცის მისმა ავტორმა და გაზეთ „მეგობარმა", რომ ვერავის ყურადღებას ვერ დაიმსახურებს.

იმ—ამის მიერ აღძრულ საკითხს ვერც ის უშველის, რომ თავისი წერილები მან განსვენებული არჩილ ჯორჯაძის ანდერძის მოგონებით დაიწყო. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო მას არჩილ ჯორჯაძის სახელი სულ არ ეხსენებია. განა მკითხველს როდესაც ის განსვენებულ ჯორჯაძის სახელს მოიგონებს, კითხვა არ დაებადება—ასრულებენ მისი თანამოაზრენი ჯორჯაძის ანდერძს, თუ ისინი მას ღალატობენ. განა არჩილ ჯორჯაძე სომხებს საქართველოს მაზრებს დაჰპირდებოდა, როგორც ამას იმ—ამი სჩადის? განა არჩილ ჯორჯაძე თბილისის საქალაქო არჩევნებში სომხის დემოკრატიის ძალით შეამხნაგებას მოინდომებდა სომხებისვე წინააღმდეგ და ქართველ ვაჭრებს, სახლის პატრონებს თუ მემამულეებს ზურგს უქცევდა?

არა, სულ სხვა იყო მისი ანდერძი და მისი მოგონება ყოველ შემთხვევაში იმ—ამებისთვის ხელსაყრელი არ იქნება.

შეთანხმებული მოქმედება დიდი საკითხია. ისეთ სუსტს, ქონებრივათ და სულიერათ დაუძლურებულ ერს, როგორც ჩვენ ვართ, მხოლოდ ყველა მისი ძალ გონიერი და შეერთებული მოღვაწეობ

სახალხო სკოლა და საგლეხო უნივერსიტეტი შვეციაში.

შინაარსი:

დ. გურამიშვილის აზრი სწავლის შესახებ. პირველ დაწყებითი სკოლების ისტორიიდან (ქრონოლოგიური ცნობები). სახალხო სკოლა შვეციაში და მისი ორგანიზაცია. სახალხო უნივერსიტეტის დახასიათება—დასკვნა.

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მგოსანი დავით გურამიშვილი სწავლის მნიშვნელობის შესახებ სწერს ასეთ საგულისხმო სიტყვებს:

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მის გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი
და თუ კაცს ცოდნა არა აქვს, დასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რა ზომასაც დაეტარების.
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების,
არც ცხადით—ძალით წაერთმის, არც მალვით მოეპარების
და ჰკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰკვა ცოდნით მოიხმარების"...

აბა ჩაუკვირდით ამ სიტყვებს და თქვენ აშკარად დარწმუნდებით, რომ უკვდავი მგოსანი ლაღადებს უტყუარ ჭეშმარიტებას...

ასე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მე-18 ს. ქართველს სწავლა-განათლების საჭიროება და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც კერძო ადამიანისთვის, ისე მთელი ერისათვის...

„ადამიანი—ამბობს იგივე მგოსანი—სწავლაში მოშვილდების, როგორც რკინა ცეცხლში გარბილდების".

დიახ, ბევრს ეძნელება სწავლა, ბევრს იგი მძიმე ტვირთად მიაჩნია, ამისთანა პირებს მგოსანი აფრთხილებს და ამავე დროს ანუგეშებს კიდეც; იგი ამბობს:

„უსწავლელი ვაჟი-კაცი სიბერის დროს გაწბილდების...
და სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების...

იმ დროს, როცა დავით გურამიშვილი ამ ლექსებსა სწერდა, ქართველთა უმრავლესობა უსწავლელი და უმეცარი იყო...

როგორც ისტორიიდან ვიცით, მე-18 ს—ში არც ევროპის და რუსეთის ხალხი იყო შესამჩნევათ განათლებული. მხოლოდ ეს უმეცრება იმას არ ამტკიცებდა, რომ სწავლა-განათლების სურვილი არ ყოფილიყოს ხალხში გაღვიძებული.

წარსულ საუკუნოებში ქართველიც განურჩევლათ წოდებისა, მუდამ ეტრფოდა სწავლა-განათლებას... შავთა-დროთ ვერ ჩააქრეს საქართველოში მეცნიერების და განათლების ლამპარი.

სამწუხაროდ, ერის განვითარებას, მის აზროვნულ წინსვლას უშლიდა იმ დროს სხვა და სხვა აუტანელი დაბრკოლება—პოლიტიკური სისუსტე, უკიდურესი ეკონომიური სიღარიბე, გარეშე მტრის დაცემა და ბევრი სხვა გარემოებაც.

დღესაც ჩვენ ხალხს სულით და გულით სურს დაეწაფოს სწავლა-განათლების წმინდა წყაროს, სურს შეითვისოს თანამედროვე სწავლა და დროის შესაფერი ცდა, მაგრამ ამ გულწრფელ წადილს ეღობება ბევრი მისგან არა დამოკიდებული მიზეზი. მიუხედავათ ამისა, ხალხი წარსულ წლებთან შედარებით ნელნელა წინ მიდის; ჩვენდა სანუგეშოთ, ის ერთ წერტილზე არ ჩერდება და მიცოცავს წინ თუმცა კუს ნაბიჯით...

და თუ ჩვენ წადილი გვაქვს—ხალხი შესამჩნევათ წინ წავწიოთ. და წარმატების გზაზე მალე დავაყენოთ, უნდა გავავრცელოთ უპირველეს ყოვლისა წერა-კითხვა.

ამ წერა-კითხვის დახმარებით ხალხს მიეცემა საშუალება—განვითარდეს და შეიძინოს ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგი ცოდნა.

ერთი ის კულტურული დაწესებულება, რომელიც ამ დიად საქმეს ემსახურება, არის სახალხო სკოლა, როგორც უმაღლესი, ისე უმდაბლესი... ამ ჟამად ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რა დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებას ხალხის ცხოვრების წარმატებაში...

ამ საგნის განხილვას არ შეუდგები აქ; მე ამ წერილში მსურს დავახასიათო როგორც მისაბაძავი მაგალითი სახალხო სკოლა და საგლეხო უნივერსიტეტი განათლებულ ქვეყანაში, როგორიც არის შვეცია და ნორვეგია...

სანამ ჩემი საგნის მთავარ ძარღვს შევეხებოდე, მე ვეცდები გადმოგცეთ რამდენიმე ცნობები პირველ-დაწყებითი განათლების ისტორიიდან.

მე-19-ე საუკუნის დასახასიათებლად, როგორც ვიცით, სხვადასხვა სახელი არსებობდა: ორთქლის საუკუნე, საუკუნე ელექტრონისა და სხვა, მაგრამ უფრო სამართლიანი და საფუძლიანი იქნება—წარსულ საუკუნეს „პირველდაწყებითი განათლების ხანა" ვუწოდოთ.

ასეთია ლევასერის აზრიც, რომლის კალამს ეკუთვნის ცრიოზული ნაწარმოები: ამ სათაურით „პირველ-დაწყებითი—სწავლა განათლებულ ქვეყნებში"... და, მართლაც, მე-19-ე საუკუნეში პირველ დაწყებით განათლებას ერთი მხრით ხელს უწყობდა დემოკრატიული იდეების გავრცელება, მათი წინსვლა, ხოლო მეორე მხრით კი ვაჭრობა-მრეწველობასთან მეიდროთ დაკავშირებულ მეცნიერების წარმატება..

ჩვენს დროში პირველდაწყებითი განათლება არსებით საჭიროებას შეადგენს და მას ვერც ერთი განათლებული ქვეყანა გვერდს ვერ აუხვევს. ხალხის გონებრივათ განვითარებისათვის პირველ-დაწყებითი განათლება არის ერთი უძლიერესი საშუალებათაგანი. ხალხის კეთილდღეობა, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მეტნაწილად პირველდაწყებით განათლებაზეა დამოკიდებული. კულტურულ ხალხთა სახელმწიფოებმა და საზოგადოებებმა საჭიროთ სცნეს, რომ წერის საშუალებით შეძლება მისცენ მცხოვრებთ-ერთმანეთს დაუახლოვდენ და ამით ოდნავ მაინც შეასუსტონ ის უთანასწორობა, რომელიც უმეცრებამ და გაუნათლებლობამ წარმოშობა...

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ევროპისა და ამერიკის ყოველ კულტურულ ქვეყანაში თითქმის დღითი-დღე იღებდენ სხვადასხვა საკანონმდებლო ზომებს სახალხო განათლების გასავრცელებლათ გასაუმჯობესებლათ...

პირველათ კანონები ამ საკითხის შესახებ გამოიცა ჰოლანდიაში 1801,1903, და 1806 წ.წ.

1802 წლიდან ბავარიაში შემოიღეს სავალდებულო სწავლება, ხოლო პრუსიაში კი—1819 წლიდან. აგრეთვე 1834 წლის კანონით ბადენში დაამტკიცეს პირველდაწყებითი განათლება.

მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიაში სახალხო სკოლების რიცხვმა თვალსაჩინოთ იმატა; სკოლებში სიარული გერმანელებისათვის სავალდებულო იყო.

1832 წ. ლუი ფილიპეს მეფობის დროს გამოცემულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა პირველდაწყებით განათლებას საფრანგეთში.

იმავე წელს ინგლისის პარლამენტმა გადასდო პირველი თანხა სახალხო სკოლების შენობების ასაგებათ. ექვს წელს შემდეგ შესდგა განათლების ფარული საბჭოს კომიტეტი, რომელსაც ინგლისში სახალხო განათლების სამინისტროს ადგილი ეჭირა საუბედუროთ, პირველდაწყებითი სწავლების შესახები კანონი ინგლისის პარლამენტში მხოლოდ 187 წ. გავიდა.

იტალიაში პირველდაწყებითი განათლების შესახები რეფორმა მოხდა 185 წ. ესპანიაში კი ორი წლით ადრე.

შვეიცარიის კანტონების მეტ ნაწილ პირველდაწყებითი სწავლა 1830 - 184 წ.წ. შემოიღო.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო სამხრეთ რესპუბლიკებში—მეორე ნახევარში გამოიცა კანონები, რომლითაც სახალხო განათლების გავრცელების საქმე უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო...

აზიის სახელმწიფოებიდან იაპონია 1862 წ. პირველდაწყებითი განათლებ მთელი სისტემა შექმნა. იაპონურ სკოლებში, სადაც დღეს ევროპიული სულ ტრიალებს, სახალხო განათლების საქ ისე კარგათაა დაყენებული, რომ მთ უცხოელებიც კი განცვიფრებაში მოყავ. განათლება აქ ყველასათვის სავალდებულოა და თითქმის უფასოც ოთხსა და რვა კლასიან სასწავლებლებში.

საერთო ფერხულში რუსეთმაც მიიღ მონაწილეობა. 1872 დან 1885 წლამდ 50 ევროპიულ გუბერნიაში სახალხო სკოლები საშვალო რიცხვით 25 ათასს აღ წევდა (25,405). ამათ რიცხვში არ შედ სამრევლო სკოლები. შემდეგ პერიოდ 1886—1891 წლამდი ეს რიცხვი 28,62 მდე ადიოდა; სამრევლო სკოლები კ ამ დროს 14,779 უდრიდა.

საკმაო სისწრაფით იზრდებოდა აგრეთ მოწაფეთა რიცხვიც სახალხო სკოლებ. პირველ პერიოდში ის საშვალო რიცხვით 1,2 მილ. ორასი ათას აწევდა, მეორე კი 1,7 ათას (აქ არ ითვლებიან სამრევლ სკოლათა მოწაფეები).

მოსკოვის იურიდიულ საზოგადოებ სტატისტიკურ განყოფილებაში ფალბ კმა და ჩარნოლუსკიმ წაიკითხეს მოხსენ

განცხადება.

დღეს, 31 იანვარს, სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის დარბაზში. დილის 11 საათზე, დანიშნულია ახლად დაარსებულ გამომცემელ „სამშობლო"-ს ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრების გაგრძელება.

წევრებს გარდა კრებაზე შეუძლია დაესწროს ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობაში,

---

დააყენებს ალორძინების გზაზედ. და
...ურების სინამდვილე ისე დაჟინებით
...ხოვს ამას, რომ ჩვენ გვწამს, დაი-
...მებიან და შეერთდებიან ყველა ის ძა-
...ი, რომლებიც დიდებით მუშაობს
...ან ჩვენი ერის მომავლის შესაქმნე-
...ლ.

...მოვლენა კი, თუ ბ. იმ-ამის, ანუ
...ე მისი მსგავსი მოყვასის სოხუმის
...ვის ნ. თავდგირიძის, მოწოდებებმა
...ველ საზოგადოების ყურადღება არ
...მახურის, არავის არ უნდა აკვირ-
...ებს.

...ორი ,,ეროვნული'' მოღვაწის რე-
...ლი საქმიანობა ის იყო, რომ ერთი
...ნი, სამს მაზრას აღმოსავლეთით და
...ე კიდევ ამდენსვე, ხოლო დასავ-
...თ, სომხებს ჰპირდებოდენ.

...ერ კარგი იქნება თუ ჩვენი სო-
...ლისტები გამოძებნიან ქართველ სა-
...ადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა
...რთულებათა შესათანხმებელ ნიადაგს.
...ჯერებელია ეს შეთანხმება მაშინ იქ-
...მნიშვნელოვანი თუ ის მიზნათ
...ების რეალურ გაუმჯობესობას და-
...ვს, თორემ ოცნების სფეროში შე-
...მება ჩვენ არარას გვარგებს. ჩვენ რომ
...ლოთვის ამას ვიცავდით. „ქართველი
...ყველა ნაწილს, მეურნეთ თუ ვა-
...მრეწველთ, აზნაურობას თუ გლე-
...ს, მუშას თუ ბურჟუას—ჩვენ მუდამ
...წოდებდით, რომ შეერთებული ძა-
...შეთანხმებული მუშაობით წაქცე-
...და დაუძლურებული ჩვენი ეროვნუ-
...ცხოვრება ფეხზედ დაგვეყენებია..

...ნ ალის, იქნებ ცხოვრების მიმდინა-
...მა ჩვენ სოციალისტებსაც ასწავლოს
...ა. და თუ დღეს ყველა პრაქტიკულ
...ებში ისინი სომხის დემოკრატიას,
...ლსაც არავითარი სურვილი არ აქვს
...ან დაკავშირების, უხმობენ ხაძმოთ
...შეერთებლათ და ქართველ ვაჭრ-
...ვლთ თუ მემამულეთ ზურგს უქ-
...ნ, იქნებ ხვალ მოვიდენ გონს და
...ნონ, რომ ჩვენი მომავლის შესაქ-
...დ ქართველი ,,ბურჟუაზია'' ჩვენი
...ოალისტებისგან გამოგონილ ქართ-
...პროლეტარიატზედ ნაკლებათ საჭი-
...არ არის.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის ... გამგე ბ-ნი ი. ი. ოცხელი გუშინ ... მატარებლით გაემგზავრა თბილის, სადაც ის წარუდგება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სასწავლებლის სხვა და სხვა საქმეების გამო.

✦ დღეს, 31 იანვარს, პიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, საღამოს 7 საათზე, მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

✦ კავკასიის რკინის გზის მთავარმა სამმართველომ ცირკულიარით აცნობა რკინის გზის ყველა სადგურის უფროსებს და დაავალა სადგურის უფროსის მორიგს ადევნოს თვალი მგზავრების შესვლას ვაგონებში და დახმარება აღმოუჩინოს კონდუქტორებს უბილეთო მგზავრების გადაშინჯვაში.

✦ ამ მოკლე ხანში არქიერის გორაზე არსდება ,,კოოპერაციის'' განყოფილება.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ინჟინრის ქუჩის ბოლოზე სადაც მებოჭკეები წყალს იღებენ მდ. რიონიდან მეტად სიბინძურეა, რომელიც ამ დღეებში დაუთვალიერებია მცხოვრებლების თხოვნით ქუთაისის ვიცე გუბერნატორს და აღუთქვამს ყოველგვარი ზომების მიღება. სასურველია ქალაქის თვითმართველობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ მოვლენას.

✦ ქუთაისში თითქმის შიმშილობაა ხორცის მხრით. შეიძლება ითქვას, რომ ხორცი აღარ იშოვება და რაც არის, ისიც უვარგისი. მაგრამ დავეთხოვოთ ხორცის ღირსებას. რაც არის განა იმას მოგყიდის ვინმე? თუ ასეა შუა გულ ბაზარში, სადაც ბაზრის მეთვალყურე დგას, წარმოიდგინეთ რა იქნება განაპირა ადგილებზე, სადაც ყასბის სინიდისზეა, რას მოგიჭრის და რამდენათ. არავითარი ნიხრი აქ არ არსებობს, რამდენიც მოესურვებათ იმდენს იღებენ. მაგალითად საგლეხო საკრებულოს პირდაპირ ვაჭრობს ერთი ყასაბი, გვარათ ბურჯულაძე, რომელიც ექვს შაურ ნაკლებ არ ყიდის ხორცს. საჭიროა მეტი ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

⊛ წვრილი კრედიტის დაწესებულებამა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისში წვრილ კრედიტის საზოგადოებათა კავშირის დაარსების შესახებ.

✦ ქარ. შ. წ. კ. გამ. ქუთაისის განყოფილებამ 29 იანვრის კრებაზე „სასოფლო გაზეთის" გამომცემლის. შარაშიძის თანდასწრებით დაადგინეს: გამოსცენ სამეურნეო ბროშურა, რომელიც დაურიგდება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებს რიგიან ფასათ.

✦ არქიერის გორაზე კოოპერაციის განყოფილების მომწყობი კომისია აუწყებს წევრებთ, რომ ამ ჟამათ მათზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო კიოსკებს ვერ გახსნიან. პირველი მოხერხებისათანავე ეცდებიან თავისი წევრები დააკმაყოფილონ.

⊛ ქუთაისის მცხოვრებმა მინა ტყაბლაძემ ერთი წლით გამოიწერა დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს, ყოველ-კვირეული გაზეთი ,,ზვირთი''.

⊛ თანახმად ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი ხორცზე: პირ. ხარ. 1 აბაზი მეორე ხარ. 18 კაპ. მესამე ხარ. 3 შაური.

✦ ქ. ფოთის საბჭოს დადგენილების თანახმად, ქუთ. გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი შაქარზე პაჩკის შაქარი გირვანქა $22^{1}/_{2}$ კაპიკათ დახერხილი 22 კაპ. თავის—$21^{1}/_{2}$ კაპ. ფხვნილი $18^{1}/_{2}$ კაპ.

⊛ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის გამგემ ბ. შარაშიძემ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ გააკეთონ დასაფარავი ჯებირები მდ. რიონიდან და რუიდან რათა მოვარდნების დროს უზრუნველყოფილი იყოს სამეურნეო სასწავლებლის ეზო. შუამდგომლობასთან ერთად წარმოადგინა 92,765 მ. 91 კ. ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ომში დაჭრილთა დამხმარე სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის თავჯდომარე როძიანკოსაგან ქუთაისის გუბერნატორმა მიიღო ქუთაისის გუბერნიის 4 კაცის: სიმონ გოგოლაძე, ის. ესიაიშვილი, დიგტრი, მუშკუდიანის და გიორგი ცხოლიძისათვის დასარიგებლათ მედლები სტანისლავის ლენტზე წარწერით ,,ერთგულებისათვის''. აღნიშნული პირები მსახურობდენ სახელმწიფო სათათბიროს სახელობის სანიტარულ მესამე რაზმში.

✦ ქუთაისის კოოპერაცია უკვე შეუდგა შაქრის გაყიდვას. გირვანქა თავი შაქარი იყიდება 23 კ. ამავე საზოგადოებამ მიიღო რამოდენიმე ვაგონი სიმინდი, რომელიც შეღავათიან ფასებში დაურიგდება ქუთაისის მცხოვრებლებთ.

✦ ამ დღეებში სტამბიდან გამოვა ყოველ ორ კვირეული ჟურნალის „ცხოვრების" მორიგი ნომერი, რომელიც შინაარსით სულ აკაკიზე არის შედგენილი.

✦ ქუთაისის საბჭოს საოჯახო კომისიამ თავის უკანასკნელი კრებაზე დაადგინა, გააუქმონ ბაზრის ზედამხედველების თანაშემწეების თანამდებობა, მის მაგიერ გაადიდონ ბაზრის ზედამხედველების შტატი. სამს მათგანს თითოეულს დაენიშნოს წლიურათ 600 მან.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ქ. ფოთის მცხოვრებს პეპ. ბ. გიგინეიშვილისას ქუთაისის პოლიცმეისტერის სამმართველოს მახლობლათ დაეკარგა სხვადასხვა საბუთი. მნახველს სთხოვს მოიტანოს ,,სამშობლოს'' რედაქციაში, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

სხვათა შორის საბუთებში იყო უმაღლესი ბრძანება მისი შვილის გათავისუფლების შესახებ ციმბირიდან.

✦ პარასკევს, 29 იანვარს, ქუთაისში პური არ იშოვებოდა. მიზეზათ ფქვილის გაძვირებას ასახელებდენ მეფურნეები.

სათეატრო ქრონიკა.

დღეს, კვირას, 31 იანვარს, ქალაქის თეატრში „ქართული დრამის" მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვანო ბარველის** ახალი ისტორიული **კომედია** მეფე ერეკლეს დროიდან „**გამარჯვებული**". როლები ასეა განაწილებული: „ნუნუ" ე. ანდრონიკაშვილი, „თაფლო"-მ. მდივანი, „პაპუნაძის ქვრივი"-ს. ბეგანიშვილი, „მურზა ოსი"-ი. ბარველი, „სოლომონ მსაჯული"-შ. დადიანი, „სვიმონ"-პ. კორიშელი, „პერუა"-ა. მურუსიძე, „ედიშო ვახნაძე"-ა. ყალაბეგიშვილი, „მალხაზ"-შ. ხონელი.

სამშაბათს ორ თებერვალს მარო მდივანის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ანტიური ცხოვრებიდან „იუდას მემკვიდრე". „კალვიას" როლს შეასრულებს მობენეფისე.

თბილისი.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შემდეგი შინაარსის წერილები დაუგზავნა საზოგადოების განყოფილებებს: მთავარი გამგეობის აზრით საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი წლიური კრება მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს ამა წლის 1 მარტისა. საჭიროა ამ კრებისთვის ეხლავე შეუდგეთ მზადებას. პირველ ყოვლისა ამ თავითვე აუცილებელია ანგარიშების და მოხსენებების შედგენა. გთხოვთ ამ წერილის მიღების დღიდან ორი კვირის განმავლობაში მოგვაწოდოთ მოკლე წერილობითი ანგარიში თქვენი განყოფილებისა. ანგარიში უნდა „იქნას: შემოსავალი, გასავალი, წევრთა რაოდენობა, სარეგისტრაციო მუშაობა, დაზარალებულთა დახმარების სხვა და სხვა მხარეები და სხ. გვაცნობეთ ადრევე, თუ რომელი საკითხი გნებავთ დაისვათ საზოგადო კრების წინაშე.

— პანაშვიდი. კვირას, 31 იანვარს დიდუბის ეკლესიაში, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის თაოსნობით, **ვაჟა ფშაველას** გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

— შუა თფილისის სადგურზე გუშინ 100 ვაგონი მოვიდა და დასცალეს. დაუცლელია 130 ვაგონი ადგილის უქონლობის გამო სადგურზე. შეშის პატრონები არ მოდიან შეშის მისაღებად ალბად ხელოვნურად კურიზისის შექმნას აპირებენ ქალაქში. საჭიროა გამოირკვეს გვარები ამ შეშის მიმღებთა და გამოცხადდეს გაზეთებში. ვაგონების დაუცლელობა აფერხებს აგრეთვე რკინის გზის საქმესაც.

— 28 იანვარს ხევის წარმომადგენელნი: ანდრია კობაიძე, აბრამ ჩოფიკაშვილი და მიხეილ მარსაგიშვილი მეფის ნაცვლის სანახავად სასახლეში იყვნენ. მეფის ნაცვალი პირადად ვერ ინახულეს. კანცელარიის დირექტორმა მიიღო მათი თხოვნა და აღუთქვა ყველა საჭიროების დაკმაყოფილება.

— როგორც ხმები დადის, **მილოვისა და ადელხანოვის** „ეკონომია", სხვათა შორის იმითაც მდგომარეობდა, რომ ადელხანოვის ქარხანაში მოთელილ ქეჩას (ВОЙЛОКЪ) ჯარისკაცთა მაუდად ასაღებდენ, და მის სანაცვლო მაუდს გარეთ ჰყიდდენ.

ბეტმან ჰოლვეგის სიტყვა

(შემდეგი იხილე „სამ." № 275).

ველით ჩვენ მტრებისაგან ზავის წინადადებებს. ჩვენ თუ გავმართეთ ზავზე მოლაპარაკება, თუ ჩვენი იქნა ინიციატივა, ვერავითარ შედეგებს ვერ მივაღწევთ. ჩვენ ყოველ წუთში მზად ვართ ვიქონიოთ მოლაპარაკება ზავზე ჩვენ მტრებთან იმ პირობით მხოლოდ, რომ მათი მოთხოვნილებანი შე[illegible] იქნან ჩვენს ეროვნულ სიძლიერ[illegible] სიამაყესთან. სრულიად დარწმუნებულნი ჩვენს მხედრულ ძალაში და საბოლოო გამარჯვებაში, ჩვენ დღეიდანვე ბრალსა ვსდებთ ჩვენ მტრებთ იმაში, რაც კი აწი უბედურება მოუვა კაცობრიობას ნურავინ იტყვის, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ომს, მისთვის რომ კიდევ გვინდა ჩავიგდოთ ხელში რომელიმე მნიშვნელოვანი ადგილი.

თუ როდესმე ისტორია გამოიკვლევს პასუხის მგებლობას თანამედროვე ომისას, იმ ომისას რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობას, მაშინ ნათელი იქნება, რომ ეს არის ომი, რომელიც აღმოცენდა შუღლზე იპოკრიტობაზე და გაუგებრობაზე და ვიდრე ამ გვარი გრძნობები იარსებებს ჩვენ მტრებთა ბანაკში შეუძლებელია ჩვენის მხრივ გულწრფელის ზავის წინადადების წარდგენა მათთან.

დღეს მე არ შევეხები საკითხს. უფრო დეტალურად ვერც მას ვიტყვი გადაჭრით თუ რა გარანტიებს მოითხოვს ჩვენი მთავრობა-შესახებ ბელგიისა. მაგრამ ჩვენმა მტრებმა უნდა გაითვალისწინონ ის, რომ რაც დიდხანს იბრძოლებენ ჩვენს წინააღმდეგ და რაც ჩვენდამი მეტ ზიზღს დათესენ თავიანთ ხალხში, იმდენად სასტიკი იქნება ჩვენი მოთხოვნილებანი, რადგანაც იმდენად ნაკლები გვექნება ჩვენ მათი აღთქმულ სიტყვის ნდობა.

თუ ჩვენ მტრებს სურთ გარდაუვალი კედელი ააგონ ჩვენ და დანარჩენ ხალხთა შორის, მაშინ ნუ გაუკვირდებათ მათ, რომ ჩვენც შესაფერის ზომების მიღებას ვეცდებით. არც დასავლეთით, არც აღმოსავლეთით ჩვენ მტრებს არ უნდა ქონდეს უეცრად შემოსავალი გზა, რითაც მათ შეძლება ექნებათ ხვალვე შიშში ჩაგვაყენონ, შეიძლება უფრო ძლიერად ვიდრე აქამდის.

ვიცით საფრანგეთმა იმისათვის ასესხა ფული რუსეთს, რომ მას დაესრულებინა სიმაგრეების აგება ჩვენს წინააღმდეგ; ისიც ვიცით, ბელგიის არსებობას მხოლოდ ის ამართლებდა, რომ ეს იყო კონცენტრაციის ტერიტორია ინგლისისა და საფრანგეთისათვის ჩვენს წინააღმდეგ. საჭიროა, რომ ჩვენ მომავალში უზრუნველ ვიქნეთ ამ გვარ მოვლენებისაგან პოლიტიკურადაც და მილიტარულადაც. ვფიქრობ, გერმანიაში არ მოიძებნება არც ერთი კაცი, რომ ამ მიზნისკენ არ მიილტვოდეს.

როგორც მე უკვე განვაცხადე ჩვენ არა გვაქვს სურვილი პატარა, ერები დავიმორჩილოთ. ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი თავისუფლება. გერმანიის მთავრობისთვის ეს ომი არის ომი თავდაცვისა და გერმანელ ხალხის განადგურებიდან გადარჩენისა (ლიბკნეხტი: ეს ტყუილია) ეს ომი უნდა დასრულდეს ისე, რომ ჩვენ სრული გარანტია გვქონდეს, მომავალში მისი შეუძლებლობისა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 28 იანვარი. დღის ცნობა. არტუაში გრძელდება საარტილერიო სროლა მაღლობს 119 და გზის შუა ჩვენ შევძელით ხელის სასროლი ყუმბარების საშუალებით მტრის დამარცხება, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ ლაგუმი. ღამით გერმანელების შემოტევამ და სასტიკმა იერიშებმა, რომელიც მოჰქონდათ ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ნოველლაფონის გზასთან, მოვიგერიეთ. გერმანელებმა შესძლეს მხოლოდ გამაგრება ჩვენ მიტოვებულ პოზიციაზე.

სომის სამხრეთით ხდებოდა წვრილ-წვრილი შეტაკებები, ორი დღის განმავლობაში. ამ შეტაკებების დროს ტყვედ წამოვიყვანეთ 50 კაცი, ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიის მტყორცნელი და მსწრაფ-მსროლელი იარაღები.

პარიზი. 28 იანვარი. საღამოს ცნობა. არტუასთან დღის განმავლობაში ჩვენ განვაგრძობდით წინსვლას, ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით. ორი სასტიკი

...ნაც სჩანს, რომ 1894 წ. 1 იან-
...რუსეთში რიგიანათ დაყენებული
...დაწყებითი სასწავლებლები 43,894
...ითვლებოდა. აქიდან მარტო ერთკლა-
...სასწავლებელი 9,180 იყო.
...ლეს დღეობით სახალხო შკოლათა სა-
...ოდო რიცხვი რუსეთში 95,000 ადე-
...ება, მოწაფეებისა კი, ორივე სქესის
...დ, დაახლოვებით 6 მილ. უდრის
...ვეციამ, რომლის სკოლებზედაც მე
...ებამ თქვენთან საუბარი, 1842 წ. მი
...ორგანიული კანონი პირველდაწყე-
...განათლების შესახებ. რვა წლის
...მან, ნორვეგიისთან ერთად, მოძ-
...სკოლები მუდმივათ გარდაქმნა.
...ეცია და მისი მონათესავე ნორვეგია
...ის შორეულ ჩრდილოეთით მდებარე-
...ბს, და ისაზღვრება რუსეთისაგან. სკან-
...ნავის ნახევარ კუნძულს, რომელი
...ეცია და ნორვეგიის უჭირავს, სამივე
...შფოთიანი მოელვარე ზღვები აკ-
...ეს ზღვები ღრმათაა შეჭრილი ხმე-
...ში, და ამიტომაცაა, რომ თითქმის
...ნახევარი კუნძული ვიწრო ყურე-
...ფიორდებითაა შემოქარგული.
...კანდინავიის მაღალი მთები მუდმივ
...თოვლითაა შემოსილი. ნიადაგი
...ყველგან ქვიანია და უმეტეს
...დ უნაყოფო, განსაკუთრებით კი
...ლოეთისაკენ. სამხრეთით ჰავა შედა-
...თბილია და აქ მიწის მუშაობა
...ლია. ვერც შავსა და ვერც თიხანა-
(СУГЛИНОКЪ) მიწას ვერსად შეხვდე-
...მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შორეულ
...ლოეთის შრომის მოყვარე ხალხმა
...ნეწყისა და მიუკარებელ ნიადაგსაც
...ფი გამოალებია. მთის საბალ-
...ზე მცხოვრებლებმა რქოსანი საქონ
... და ცხოველების საუკეთესო ჯიში
...ებს. მათივე ნახვით გააპოხიერეს სა-
...მინდვრები და დღეს მოსავალი
...ზე მეტი და უკეთესი მოუდის,
...მოქმედებას გარდა შვედებს მეტად
...ურეებთ აგრეთვე მთამადნეულობის დამუშავება და მეთევზეობა.

დიდი, დიდი შრომა იყო საჭირო, რომ შვედს თავისი საოჯახო საქმეები კარგათ მოეგვარებია; მაგრამ მარტოკა შრომით, თავის თავად ცხადია, კაცი შორს ვერ წავა. შრომასთან ერთად საჭიროა ცოდნაც. აი ესაა მიზეზი, რომ სკანდინაველებმა დიდი ხანია, რაც სახალხო განათლების შესახებ ზრუნვა იწყეს. მოსახლეობის უმეტესობას აქ გლეხები შეადგენენ. აქაურმა გლეხმა არც კი იცის რას წარმოადგენს ბატონობა. ის თავიდანვე თავისუფალი მიწის მუშა იყო და თავისუფლების კალთაში თავისუფლების ძუძუთი იზრდებოდა.

თითქმის ყოველ შვედსა აქვს მიწის პაწია ნაჭერი და თვითონვე ერთგულად ამუშავებს მას. ქვეყნის მართვა გამგეობაში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას. ხალხმა, ცხადია, კარგად უნდა იცოდეს თავისი სამშობლოს წესები და კანონები. ამიტომაა, რომ ყოველი შვედი მოვალეთ რაცხს თავის თავს კარგათ შეისწავლოს წერა-კითხვა. საკვირველიც არაა, თუ ასეთ პირობებში შვედების თვის სახალხო სკოლა არსებით საჭიროებას წარმოადგენს და სახელმწიფოც თავის მხრით სახალხო განათლებისთვის არაფერს არ ზოგავს.

შვეციის სახელმწიფომ სახალხო განათლების საქმეს ჯერ კიდევ მე-17-ე საუკუნეში მოკიდა ხელი. მაშინ შვეციაში პროტესტანტიზმი თითქმის გაბატონებული იყო. ლიუტერანების სარწმუნოება პირველათ ყოველისა ბიბლიის ანუ ჩვენებურად დაბადების გონივრულ და ყოველ მხრივ კარგ ცოდნას მოითხოვდა. ამიტომ დაიბადა საჭიროება—გახსნილიყო სახალხო სკოლები; ამ სკოლებმა შემდეგ თანდათან ხელი შეუწყეს ხალხში წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებას. ამგვარად, შვედების საყოველთაო განათლება—რეფორმა მოძრაობის ლოღიკური და ბუნებრივი შედეგი იყო.

93

იერიში გერმანელებისა, რომელიც მომართული იყო ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ მაღლობ 140 დასავლეთით მოვიგერიეთ. ნევილის გზის ჩრდილოეთით მტერმა ააფეთქა ნაღმები და დაიკავეს ძაბრები. სომას სამხრეთით მტრის ქვეითა ჯარის უმნიშვნელო რაზმი ცდილობდა თხრილებიდან გამოსვლას და ჩვენზე ხელდახელო იერიშის მიტანას, რაც მან ვერ შესძლო. ბლოკვიუსთან ჩვენი არტილერია განაგრძობდა ძლიერი ცეცხლის ცემნას. ერთსა და იმავე დროს ჩვენ ძლიერ საარტილერიო ცეცხლს უშენდით მილიოზის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამხედრო უწყებათა შენობებს.

ჰავრი. 28 იანვარი. ბელგიის ცნობა. ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გძელდება დიკსმიუდის, ნოორდშისის და ღომანარიბის სექტორებში, ადგილ-ადგილ ხდებოდა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ბრძოლა.

მელიტონ იესეს ძე ჩოგოვაძე.

(მისი გარდაცვალების დღიდან, ექვსი წლის შესრულების გამო).

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მელიტონ ჩოგოვაძის უდროოთ გარდაცვალებამ ქართველ სტუდენტებზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც იყვნენ ერთ დროს მისი მოწაფეები. ამ უბედურმა შემთხვევამ გამოიწვია ჩემში—ამ სტრიქონების დამწერში მწვავე გრძნობები, მწვავე მოგონებანი. გული დაღონდა, ცრემლებმა თვალები დაბიბინდეს, ლაპარაკი და წერა ველარ მოვახერხე... ასე ძლიერი იყო ჩემი შთაბეჭდილება, რომელიც გამოიწვია, ჩემთვის და ყველასათვის, საყვარელი ადამიანის უდროოთ გარდაცვალებამ.

სამწუხაროა მელიტონის დაკარგვა!.. ის ხომ ადამიანი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ ჩვენ საძაგელ დროში, როცა ასში ოთხმოცდაცხრამეტი გაუტაცნია კერძო ცხოვრებას, როცა უმრავლესობის მცნებად გამხდარა უაზრო სიტყვები „მე თუ არ ვიქენი ქვა ქვაზედაც დადუღებულიო“.

მელიტონი ეკუთვნოდა იმ ადამიანების რიცხვს, რომლებსაც მცნებად დაუსახავს ცხოვრებაში მგოსნის აზრიანი სიტყვები.. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელსა კი ვერა არგოს...

მელიტონი ეკუთვნოდა იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც თაყვანს სცემენ საქმეს და მხოლოდ საქმეს...

სწავლის დასრულების შემდეგ ყურადღება სიცოცხლით სავსე მელიტონისა მიიქცია იმ პატარა საზოგადოებამ, რომელსაც ეწოდება „ოჯახი“. მან მოინდომა ამ უკანასკნელის აღდგენა, გამშვენება. საკმაოა გავიხსენოთ მელიტონის ერთი სიმპატიური საქმე, რომელიც ერთი შეხედვით ყველას ბუნებრივად მიგვაჩნია. მხედველობაში მაქვს მისი მამობრივი მზრუნველობა მოსწავლე ძმაზე და ძმისწულზე. თითოეულმა ცხოვრების დამკვირვე ადამიანმა კარგათ იცის, თუ რაა საჭირო ერთი კაცის აღზრდისათვის ჯერ აქვე საშუალო სასწავლებელში და მით უფრო უმაღლეს სასწავლებელში. მიუხედავათ ამისა, მელიტონმა ყოველგვარი დაბრკოლება სძლია და თავისი ძმა გაგზავნა თავისი ხარჯით უმაღლეს სასწავლებელში; ის ხალისით და საქმის სიყვარულით უწყობდა ხელს ძმას და ამაყოფილებდა ყოველგვარ მის მოთხოვნილებას... მერე რა არის აქ გასაკვირალი?.. ეს ხომ ბუნებრივია, ძმა ძმას უნდა ეწეოდესო, იტყვის ვინმე. გასაკვირველი არაფერი არ არის, ძმა ძმას უნდა ეწეოდეს უეჭველია, მაგრამ სამწუხაროდ ცხოვრებაში სულ სხვა სურათს ვხედავთ. აბა ჩაუკვირდით დღევანდელ ნასწავლების ცხოვრებას. დიდი უმრავლესობა, თამამად შემიძლია ვსთქვა, ცხოვრობს მხოლოდ თავისთვის. ზოგიერთისათვის დედ-მამა და დედმამიშვილი ვიგინდარეებად გამხდარან. ამ უკანასკნელებს არავითარ ნივთიერ და სულიერ დახმარებას არ აძლევს. წელიწადში რომ ორი-სამი მანეთი გადაუგდოს მშობელ დედას ან დედ-მამის შვილს ქვეყანას ყურებს უჭედს—შემჭამეს ამდენი და ამდენი მეხარჯება ჩემიანებზეო.. ამ მხრით სულ სხვა იყო მელიტონი. შემწეობა მისი დედ-მამის შვილებისა და ნათესავებისადმი იყო წმინდა, სიყვარულით აღსავსე. მე მისგან არ გამიგონია ერთხელაც-კი რა არის ,,შემაწუხეს, და ველარ გაუძელ ამდენ მოთხოვნილებასაო“. მელიტონი მარტო ნათესავებისათვის არ იყო გაჩენილი.. მისი ადამიანური, მოყვასის სიყვარულით გაღენთილი არსება მზათ იყო დახმარება გაეწია არა ნათესავისთვისაც კი მზათ იყო შეწევნა აღმოეჩინა არა მარტო სიტყვით, საქმითაც.. დიახ, მელიტონი იყო საქმით გმირი. რომ ეს ლიტონ სიტყვებათ არ მიიღოს ვინმემ, არ შემიძლია არ გამოვაქვეყნო ერთი რამ, რომელიც ნათელს ფენს მელიტონის ხანმოკლე სიცოცხლეს, მის ადამიანურ მოქმედება-მიმართულებას.

მახსოვს, ამ ოცი წლის წინად სიცოცხლით სავსე ახალგაზდა დილიდან საღამომდის უსაქმოდ დავხეტიალობდი ქუთაისის ერთი ქუჩიდან მეორეზე.. ხშირი სტუმარი ვიყავი „გაბრიელის მთისა“, საიდანაც გავჰყურებდი იმ ადგილს, რომლის „შვენებასაც ვერ აღწერს ხელი“.. ხშირი სტუმარი ვიყავი აგრეთვე, განსაკუთრებით დილაობით, თეთრი ხიდისა, საიდანაც ვსტკბებოდი „სამშობლო მთების ძუძუ-მკერდიდან ჩამონადენ“ რიონის მანქვა-გრეხას და შუილ-ხუილის ხედვა-სმენით.. მიყვარდა ბუნება ბუნების შვილს. მაგრამ რამდენად გარეშე ბუნების სიკეკლუცე ალერსიანებდა ჩემს ყმაწვილ არსებას, იმდენად ჩემი ყმაწვილი გული ღონდებოდა იმ სურათის ხილვით, რომელიც ყოველ დილაობით იშლებოდა ჩემ თვალწინ თეთრ ხიდზედ.. ეს სურათიც: ჩემი ტოლები წიგნებით ხელში...

უნდა გამოვტყდე ვეხარბებოდი მეტოლეებს, ბუტბუტით ვესაყვედურებოდი ჩემ ბედს. მოსწავლეების ჟღურტული სამშობლო და უცხო ენაზე, მათი სიცოცხლით სავსე სახე რამდენი დღე გადიოდა, იმდენად მეტს შთაბეჭდილებას ახდენდა მათ მეტოლეზე, იმდენად უფრო მწვავე იყო ჩემთვის შემდეგი კითხვები: რატომ, განა მე არ შემიძლია ვისწავლო? რატომ უნდა ვიდგე განმარტოებით ჩემი მეტოლეებისაგან? ნუ თუ ვერ მოვთავსდები იმ სასწავლებელში, სადაც ამდენი მოსწავლეები სხედან და სწავლობენ?...

— კი როგორ ვერ მოთავსდები, როგორ ვერ ისწავლი ჩამჩურჩულებდა ყურში იდუმალი ხმა.. მხოლოდ გირჩევ დაიწყო... გვიანღაა,. შენ მოსამზადებლად საჭიროა ფული ასობით, ათასობით. მე უბედურო, რომ მიხვიდე ქუთაისურ რომელიმე მასწავლებელთან და გაუმჟღავნო შენი სურვილი სწავლის მიღების შესახებ, რამდენს იცინებს, როცა გაიგებს რომ შენ სასყიდლის მიცემა არ ძალგიძს. შემდეგი ყოველ-დღიური ამ ნაირი სულიერი ბრძოლისა იყო ცრემლები, ცრემლები ჩემი... სხვებისაგან შეუმჩნეველი..

მხოლოდ მოყვრის სიყვარულით გატაცებულ ადამიანს შეეძლო დაენახა ჩემი სულის კვეთება, ჩემი სურვილი და მისწრაფება.. მხოლოდ ადამიანს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეეძლო გამოეწვდინა ხელი ასაყენებლად და სწორ გზაზედ დასაყენებლად. ამ გვარ ადამიანად მომევლინა ჩემთვის სიკვდილამდი დაუვიწყარი მელიტონი. მან, თითქოს ჩემ გულში ჩაიხედა, გაცნობისთანავე დარწმუნდა, რომ ახალგაზდას ,,სურს აღგომა, უნდა თავის ხსნა‘‘ და გამომიწვდინა ძმურად ხელი. მიუხედავათ იმისა, რომ მისი ნივთიერი მდგომარეობა მაშინ არ ბრწყინავდა, მომიწყო ხელი სიტყვით და საქმით... აღმისრულა სურვილი... გამრია ტოლ ამხანაგებში, რომლებსაც შორიდან მივჩერებოდი.. ვეხარბებოდი... და ცრემლები მახრჩობდა...

ეს ფაქტი მჭერმეტყველურად ლაპარაკობს მაზედ, რომ მელიტონის არსება გაღენთილი იყო მოყვასის სიყვარულით, რომ ის მზათ იყო დახმარება აღმოეჩინა არა მარტო ნათესავისათვის გარეშესთვისაც კი. რომ მის სათაყვანებელ ღმერთად გადაქცეულიყო კეთილი საქმე და არა ფული...

მელიტონი სრული ყურადღების ღირსია აგრეთვე როგორც მასწავლებელი.

რომელ მელიტონის ნამოწაფარს არ ახსოვს მისი ნათელი, სიკეთის გამომეტყველი სახე. მახსოვს და არ დამავიწყდება, როგორ აღტაცებით მოველოდით მელიტონის გაკვეთილს. როგორი სითავისუფლე ემჩნეოდა თითოეულ ჩვენგანს მის გაკვეთილზე... მახსოვს და არ დამავიწყდება მელიტონის მეგობრული სიტყვა და საქმე მოსწავლეებისადმი.

მახსოვს თუ როგორი იყო მელიტონის მწუხარება იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა არა სასურველ პირობებში იყო საზოგადოთ საშუალო სასწავლებელში და კერძოდ სემინარიაში...

მიუხედავათ ამისა მელიტონი ცდილობდა ჩაენერგა მოწაფეებს გულში სამშობლო ენის სიყვარული. ხშირად უნათხოვრებია ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის ქართული წიგნები წასაკითხავად. არა ერთხელ მოუმართავს ჩვენ მოწაფეებისათვის შემდეგი სიტყვებით: ხომ ხედავთ რომ სასწავლებელში არ აქვს ადგილი ჩვენი ლიტერატურისა და ენის რიგიან შესწავლას, ბავშვები ხომ აღარ ხართ, აიღეთ ჩვენი საუკეთესო მწერლების თხზულებანი, იკითხეთ და შეისწავლეთ. შოთა, ილია, აკაკი სულ ზეპირად უნდა დაისწავლოთო“...

უნდა გამოვტყდე მელიტონმა შემაყვარა ჩვენი ენა, ლიტერატურა და ისტორია, მან ჩამომაშორა გადაგვარების გზა და მე მარტო?—სხვებიც...

ყველა იმ სიმპატიურ, ნამდვილ ადამიანურ თვისებების ჩამოთვლა, რომლებიც ამკობდა მელიტონის არსებას, შეუძლებელია მოკლე წერილში. არ შემიძლია მხოლოდ გვერდი აუარო ერთ მეტად მოსაწონ თვისებას, რომელიც მუდმივი სამკაული იყო ძვირფასი ადამიანისა. ეს თვისებაა უბრალოება, თავმდაბლობა. მელიტონი არ იყო ზოგიერთ „ცრუ ნასწავლივით“ გაღენთილი უზნო და უსარგებლო წარმოდგენით თავის თავზე. ის არ გავდა ზოგიერთ ნასწავლებს, რომლებს „ცხვირის წვერ მაღლა“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სიბრალულს იწვევს ადამიანში.

მელიტონი იყო ოჯახის სიხარული!... დედა, დედ-მამიშვილები, ნათესავები თავისუფლად გრძნობდენ მასთან თავს, ებაასებოდენ, ეხუმრებოდენ. მათ ხიბლავდა თავისი განათლებული შვილის და ნათესავის თავმდაბლობა.

ამ ნაირი ადამიანი გამოგვგლიჯა ხელიდან ულმობელმა სიკვდილმა. ადამიანი, რომელიც, რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო მწიფდებოდა, ხელოვნდებოდა, ცხოვრებას ეცნობოდა, რომ გამოცდილებით აღჭურვილს ებრძოლა ცხოვრების მოლიპულ გზაზედ ცხოვრების ზღვის საშინელ ტალღებთან მოყვასის სასარგებლოდ.

დღეს შესრულდა ექვსი წელი დღიდან გარდაცვალებისა... ბანოჯის—მისი სამშობლო სოფლის მიწა სჭამს ამ პატიოსანი, კაცის ძვლებს... სამწუხაროა!.. მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ ძვირფასი კაცის საფლავი მოუვლელია. მელიტონის, ძვირფასი მელიტონის საფლავზე თურმე თავისუფლად დადიან და ჩიჩქნიან ღორები... ეს შეეფერება იმ ადამიანს, რომელიც თავისი ხან მოკლე სიცოცხლე კეთილ საქმეს შესწირა?.. ნუ თუ არ შეუძლია განსვენებულის ოჯახის წევრებს დროებით უბრალოდ შემორაგვონ ძვირფასი ადამიანის საფლავი. ნუ თუ ამის ღირსი არ არის მელიტონი ოჯახისაგან, რომლის კეთილდღეობას, გაფურჩქნა—წინსვლას მთელის თავისი არსებით ცდილობდა...

გორგი.

პასუხად

„მეგობრის“ გაზეთმეისტერს ბ. უჩარდიას.

ამბობენ და არც ტყუილია, როგორც სხვა რამე საჭირო საგანი ცხოვრებაში გამოსაყენებელი ამ სასტიკი ომის დროს, ისე ქაღალდიც გაძვირდაო, მაგრამ ამ ნაკლს გაზეთ „მეგობარს“ ვერ შევამჩნევთ. თუ კი ასეთი ძვირია ქაღალდი, ის არა სჯობია ფორმატი შეამოკლონ და, რასაც დაბეჭდვენ, ღირდეს მისი წაკითხვა, ან თუ მასალა შემოაკლდება რედაქციას, გადმობეჭდოს სხვა გაზეთებიდან სასარგებლო ცნობები! თორემ ისეთი წერილების ბეჭდვა, როგორც უჩარდიას დაუწყია, სასაცილო კი არა, სატირალია.

ამ უცნაურს მეფელეტონეს ამოუჭრია ჩემი ლექციიდან „წმიდა ნინო“ (,,სამშობლო‘‘, № 266), ზოგიერთი სიტყვები და მერე მათზე აუშენებია თავისი ხუხულა. სხვათა შორის ქალის დახასიათებლად ჩვენ მოგვყავს ბ. ტუმოვსკის სიტყვები: „Можно представить себѣ благоустроенную семью безъ дѣтей, безъ родни, безъ знакомыхъ, невозможно ли представленіе о благоустроенной семьѣ безъ женщины? Какъ не мыслимо представленіе о живомъ существѣ безъ души,“ какъ невозможно представленіе о благоустроенной семьѣ безъ женщины“.*) ჩვენი თანაგმანი: ,,შეიძლება ოჯახი უბავშოთ, უმეგობროთ, ურამეოთ, მაგრამ უქალოთ კი კეთილ-განწყობილი ოჯახი არასოდეს არ იქნება.

როგორც სულ-ხორციდან შემდგარი ადამიანი უსულოთ შეუძლებელია, ისე კარგი ოჯახი უქალოთ.

ახლა ვკითხოთ უჩარდიას: რა განსხვავებაა დედანსა და ნამდვილს შორის, ან რად დასჭირდა მას მიემატებია განშიშვლებული სიტყვები: ,,ცხადია ყოველივე ეს კ. გრძელის მეცნიერულ გამოკვლევათა პირველ ნაწილს შეადგენს და ალბათ მეორე ნაწილსაც მალე ვიხილავთ, სადაც ბ-ნი კ. გრძელი ფრიად სერიოზული მოსაზრებით დაამტკიცებს, რომ შეიძლება ქალი უბავშოთ, მაგრამ უდედოთ კი არც ერთ კეთილ-განწყობილ ოჯახში ბავში არ შეიძლება, თუ კი რასაკვირველია ბავში დაბადებულია და დედაც ჯერ არ მოკვდომია...

და... მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **მას კაციც დაეხმარა.** ნუთუ ამ სიტყვებს უნდა ჰქონდეს ადგილი გაზეთის ფურცლებზე?!

იწამეთ ღმერთი, [illegible] [illegible] და ნუ მოაკლდებით ასეთი [illegible] სიტყვების კითხვით [illegible] ვერ წახვალთ.

---

*) Журналъ [illegible] № 8, 1915 г.

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძ

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50
" — სალამ. — 6 ს. 57
ბათომიდან — დღისით — 1 ს. 25
" — ღამის — 2 ს. 23
ფოთიდან — დილის — 10 ს. 8
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 39
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. 55
" — ღამის — 1 ს. 7
ბათომისაკენ — დღისით — 5 ს. 30
" — დილის — 4 ს. 27
ფოთისკენ — დღისით — 4 ს. 27
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 20
შორაპნისაკენ — დღით. — 5 ს. —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახ
საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“)

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგ
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დ
ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვე
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, ხაკუთარ სახლში, ქალ
ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლ
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოღობერ**

„ცისფერი ყანწები“

ალმანახი გამოვა 7 თებერვალ

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობის და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ახალებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ უწერენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუ

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყალ დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ [illegible] გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდე